სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/02

ქ. თბილისი 16 იანვარი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 8-ე მუხლის, სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 16 იანვრის №01-05-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. ნაწილობრივ შეიცვალოს მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების მე-3 მუხლის მე-17 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.17. პროგრამის სტრუქტურა. საგნების/მოდულების ჩამონათვალი, მათი კრედიტები და განაწილება ხდება სემესტრების მიხედვით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემის შესაბამისად (დანართი 2). პროგრამის მთლიანი მოცულობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები) – არანაკლებ 75 კრედიტისა; კვლევითი კომპონენტები შეიძლება იყოს: პროექტი/პროსპექტუსი არაუმეტეს 5 კრედიტისა, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი არაუმეტეს 10 კრედიტისა, საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა 30 კრედიტი; აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი.“

2. ნაწილობრივ შეიცვალოს მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების პირველი, მე-2 და მე-3 დანართები და ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართები 1, 2, 3).“

3. ნაწილობრივ შეიცვალოს მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების მე-4 დანართის (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტი და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი და ისინი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები მთლიანად მოიცავს არაუმეტეს 45 კრედიტს. კვლევითი კომპონენტები შეიძლება იყოს: პროექტი-პროსპექტუსი (არაუმეტეს 5 კრედიტისა), თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა-კოლოკვიუმი (არაუმეტეს 10 კრედიტისა), სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).“

„3.3.4. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.“

„2.2.1. პროექტი-პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, რომელიც მაგისტრანტმა უნდა შეასრულოს სწავლების მე-2 სემესტრში.“

4. ნაწილობრივ შეიცვალოს მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების მე-4 დანართი (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი) და ამოღებული იქნეს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 და მე-3 ქვეპუნქტები.“

5. ნაწილობრივ შეიცვალოს მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულების მე-4 დანართის (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი) პირველი და მე-2 დანართები და ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართები 4, 5).“

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი — გ. სალუქვაძე